ო ქ მ ი N 10

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის სხდომისა.

ქ. ხობი. 17 ოქტომბერი 2024 წელი.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1.ვლადიმერ ქანთარია

2.ფრიდონ კუკავა

3.ბექა ხარბედია

4ფრიდონ შონია

5.ბადრი რიჟამაძე

6.ჯანსუღ ჯიშკარიანი

სხდომას თავმჯდომარეობდა ვ. ქანთარია - კომისიის თავმჯდომარე.

დღის წესრიგი:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 16 ოქტომბრის N 50 – 502429044 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 6, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით.

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა:

1.ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 16 ოქტომბრის N 50 – 502429044 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ" განკარგულების პროექტის თაობაზე).

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

+++

№10

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზაციო ქონების ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით ქარიატის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე მდინარე ხობის წყალზე, სოფლების გაღმა-გამოღმა ქარიატის დამაკავშირებელი ხიდის დემონტაჟის შედეგად მიღებული ქონება, რომლის წონა სავარაუდოდ 11 ტონას შეადგენს, შეფასებულ იქნა აუდიტის მიერ და დადგინდა, რომ მიღებული მეორადი მასალის გამოყენება შეუძლებელია და შეფასდა ჯართად. მუნიციპალიტეტის მერიას მიზანშეწონილად მიაჩნია მიღებული მეორადი მასალის პრივატიზება რომლის საწყისი ღირებულება შეადგენს 1578 ლარს და 50 თეთრს.

მცირე დებატების შემდეგ, კომისიის წევრების მხრიდან საწინააღმდეგო აზრი არ გამოთქმულა.

მომხსენებელი შემოვიდა წინადადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი კომისიის დასკვნასთან ერთად წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას და შემდეგ გატანილი საკრებულოს სხდომაზე დასამტკიცებლად.

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას:

კენჭის ყრის შედეგები: მომხრე 6, წინააღმდეგი არც ერთი.

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

კომისიის თავმჯდომარე: /ვ. ქანთარია/.